# ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

# განკარგულება N21

2023 წლის 29 მარტი
ქ. ამბროლაური

## ა(ა)იპ „ტურისტული ცენტრის" მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის N01 დადგენილებით დამტკიცებული „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის" 143-ე მუხლის შესაბამისად ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

**გადაწყვიტა:**

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ტურისტული ცენტრის" მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში შეფასდეს დამაკმაყოფილებლად (ანგარიში თან ერთვის).
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ამბროლაური, კოსტავას ქუჩა N13).
3. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

საკრებულოს თავმჯდომარე

# ა(ა)იპ „ამბროლაურის ტურისტული ცენტრის“ 2022 წლის ანგარიში

ა(ა)იპ „ამბროლაურის ტურისტული ცენტრი“ 2022 წლის დასაწყისიდან, პანდემიური რეჟიმიდან გამომდინარე, ონლაინ შეუდგა მუშაობას. ცენტრი პირდაპირ რეჟიმზე გადავიდა ა.წ. მარტის თვიდან. ცენტრის ყველა თანამშრომელი აქტიურად ჩაერთო პროცესში;

- ტურისტული ცენტრის ბიუჯეტის მიხედვით მიზნობრივად დაიგეგმა და გაიწერა განსახორციელებელი ღონისძიებები;
- აპრილის თვეში ტურისტულმა ცენტრმა კოორდინაცია გაუწია ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ ორგანიზებულ ტრენინგს „ჰიგიენა და სურსათის უვნებლობა“, რომელიც ა.წ. 19 აპრილს ქ. ამბროლაურში გაიმართა. ტურისტული ცენტრის სპეციალისტების უშუალო ჩართულობით მოხდა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კვებისა თუ განთავსების ობიექტების წარმომადგენელთა შორის ტრენინგზე დასწრების მსურველთა შერჩევა. ცენტრის რამოდენიმე თანამშრომელმა თავადაც აქტიურად მიიღო მონაწილეობა ტრენინგში;
- შეკეთდა და ამჟამად მუშა მდგომარეობაშია ცენტრის კუთვნილი ავტომობილი, რომლითაც ცენტრის თანამშრომელთა ერთმა ჯგუფმა ოპერატიულად განახორციელა ცენტრის ბაზაზე არსებული, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ტურისტული საფეხმავლო ბილიკების შემოვლა;
- მოხდა ბილიკების მონიტორინგი: მარკირებების, ნიშნულებისა და საინფორმაციო დაფების აღრიცხვა; დაიბეჭდა და დამონტაჟდა დაზიანებული ნიშნულები;
- მოხდა ბილიკების ხელახალი აზომვა- განახლება ტურისტებისათვის უსაფრთხოებისა და მათთვის თვალსაჩინოების შექმნის მიზნით;
- ტურისტული სეზონის გააქტიურებასთან ერთად დავიწყეთ არსებული ბილიკების წმენდა, რაშიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ სოციალური პროგრამით დასაქმებული ბენეფიციარები, რომლებმაც პრემიერმინისტრის ინიციატივით გამოცხადებული პროგრამით შეძლეს დასაქმება.
- აქტიურად მიმდინარეობს ქალაქ ამბროლაურსა და უშუალოდ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტურისტული ობიექტების (განთავსების/ კვების ობიექტები, მარნები) შემოვლა, ცენტრში დაფიქსირებულ ბაზას დაემატა 20-მდე ობიექტი, რომელთა შესახებ ინფორმაციის განთავსება, ცნობადობის გაზრდის მიზნით, ხდება ცენტრის ფეისბუქ გვერდზე- InRacha.
- ა(ა)იპ ამბროლაურის ტურისტულმა ცენტრმა მოახდინა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საფეხმავლო ბილიკების (სადმელი- რიცეულის ბილიკი, ზემო- კრიხი- რიცეულის, ჭელიში- ნიკორწმინდის, ზნაკვის ჩანჩქერების, წესი- ველიეთის, საკიშორე- კიდობანას, სხარტალი ხოტევის საფეხმავლო ბილიკისა და ქვაბთკრის ბილიკების („სიყვარულის ჩანჩქერი“, „პატარმლის ჩანჩქერი“) სრული რეაბილიტაცია, კერძოდ მოხდა ბილიკების

წმენდა, საინფორმაციო ნიშნულებისა და დაფების განახლება- მონტაჟი. განახლდა და დამონტაჟდა 56 ისრისებური მაჩვენებელი, რომელზეც მითითებულია ბილიკის დასაფარი დრო და მანძილი და 9 დიდი და 5 პატარა საინფორმაციო დაფა, რომელზეც დატანილია ტექსტუალური და ვიზუალური ინფორმაცია, რუკა და ბილიკის აღწერილობა;

- ტურისტული ცენტრის მიერ განხორციელდა ასევე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების საინფორმაციო დაფების განახლება-რეაბილიტაცია( ნიკორწმინდა, ბარაკონი, მინდაციხე, სადმელის ციხის წმ. გიორგი, ხოტევის ციხე)
- დასრულდა ტურისტული საფეხმავლო ბილიკების წმენდა , თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური პროგრამით დასაქმებული ბენეფიციარები აქტიურად ახორციელებენ ბილიკების შემოვლას. ისინი პერიოდულად გვაწვდიან ბილიკებზე არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციებს.
- ასევე, ტურისტული ცენტრის თანამშრომლები კვირაში ორჯერ უშუალოდ ახდენენ ბილიკების შემოვლა- მონიტორინგს.
- ტურისტულმა ცენტრის უშუალო ჩართულობით და მხარდაჭერით სექტემბრის თვეში ამბროლაურში გაიმართა ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ ორგანიზებული ტრენინგი სასტუმროებისა და კვების ობიექტებისათვის, სახელწოდებით: „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ტურისტული სერვისები-მომახურება და უსაფრთხოება“.
- სექტემბრის თვეში ა(ა)იპ ამბროლაურის ტურისტული ცენტრის მიერ დაიგეგმა და განხორციელდა „იმედის“ ტელევიზიის ჟურნალისტებისა და ოპერატორების სამდღიანი ტური რაჭაში. რომლის ფარგლებშიც დაიგეგმა ექსტერემალურ- სათავგადასავლო ტურები: ჯომარდობა- მდინარე შარეულადან ალპანამდე და ორდღიანი საცხენოსნო ტური-ლიხეთი-ჭუთხაროს მიმართულებით. ტელევიზიის მიერ შეიქმნა სიუჟეტი, რომელიც 16 ოქტომბერს გავიდა აღნიშნული ტელევიზიის ეთერში „დილის შოუ“ სახელწოდებით „შემოდგომის რაჭა“.
- აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ის ვიდეო, თუ ფოტომასალა, რომელიც ვერ მოხვდა ტელევიზიის მიერ გასულ სიუჟეტში, გადმოეცემა ტურისტულ ცენტრს. ჩვენი სამსახურის მიერ მოხდება ამ მასალის დამუშავება და სამომავლოდ, ტურისტულ ფესტივალებსა და გამოფენებზე გამოყენება რაჭის ტურისტული თვალსაზრისით პოპულარიზების მიზნით.
- ნოემბრის თვეში ცენტრი დაეხმარა საქართველოს გიდების ასოციაციასა და ავსტრიის განვითარების ფონდს განსახორციელებელი პროექტის ორგანიზებაში. პროექტი მოიცავს საქართველოს სამ რეგიონში (სვანეთი, რაჭა, ზემო იმერეთი) კულტურული გიდის პროგრამის შემუშავება/განხორციელებას ადგილობრივ სამიზნე აუდიტორიაში. პროექტი ითვალისწინებდა თითოეულ რეგიონში ორი თვის მანძილზე 12-15 მსმენელის გადამზადებას კულტურული ტურიზმის გიდის პროგრამის მიხედვით. პროგრამა დაიწყო 16 დეკემბერს.

- ამბროლაურის ტურისტული ცნტრი მუდმივ კონტაქტშია ტურიზმის ეროვნულ ადმისტრაციასთან. ადმინისტრაციის დავალებით ცენტრის თანამშრომლებმა მოახდინეს ტურიზმის სფეროში დასაქმებული თუ დაინტერესებული პირების გამოკითხვა 2023 წელს ჩასატარებელი ტრენინგების თემატიკებთან დაკავშირებით. გამოიკვეთა სხვადასხვა თემატიკა, რაზეც ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია 2023 წლის განმავლობაში შესთავაზებს დაინტერესებულ პირებს შესაბამის ტრენინგ- მოდულებს.
- ამბროლაურის ტურისტულმა ცენტრმა 2022 წლის განმავლობაში უმასპინძლა 1808 ვიზიტორს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სატელეფონო თუ ონლაინ კავშირის მეშვეობით აქტიურად ხდება ინფორმაციის მოთხოვნა და ცენტრის თანამშრომლები უწყვეტ რეჟიმში უზრუნველყოფენ დაინტერესებულ პირთა ინფორმირებულობას.

დანართი 2

## ამბროლაურის მუნიციპალიტეტი

| | | | | ა(ა)ი.პ. ,,ტურისტული ცენტრი" | 2022 წლის გეგმა | | | გახარჯულია 12 თვეში | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | სულ | მათ შორის | | მათ შორის | |
| | | | | | | ადგილობრივი ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | ადგილობრივი ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| | | | | შემოსულობები სულ | 114.800 | 114.800 | 0.000 | 109.416 | 0.000 |
| | | | | ადგილობრივი ბიუჯეტიდან მისაღები სახსრები (სუბსიდია) | 114.800 | 114.800 | 0.000 | 109.416 | 0.000 |
| | | | | სხვადასხვა დონორი ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| | | | | სხვა შემოსავლები (საკუთარი შემოსავლები) | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| | | | | საკუთარი შემოსავლების ნაშთის ცვლილება | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| | | | | გადასახდელები | 114.800 | 114.800 | 0.000 | 109.416 | 0.000 |
| სახაზინო კოდი | | | | მომუშავეთა რიცხოვნობა | 11.0 | 11.000 | | | |
| 2 | | | | ხარჯები | 114.800 | 114.800 | 0.000 | 109.416 | 0.000 |
| 2 | 1 | | | შრომის ანაზღაურება | 69.760 | 69.760 | 0.000 | 69.587 | 0.000 |
| 2 | 1 | 1 | | ხელფასი | 69.760 | 69.760 | 0.000 | 69.587 | 0.000 |
| 2 | 1 | 1 | 1 | ხელფასები ფულადი ფორმით | 69.760 | 69.760 | 0.000 | 69.587 | 0.000 |
| 2 | 2 | | | საქონელი და მომსახურება | 45.040 | 45.040 | 0.000 | 39.829 | 0.000 |
| 2 | 2 | 1 | | შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | 10.600 | 10.600 | 0.000 | 10.547 | 0.000 |
| 2 | 2 | 2 | | მივლინებები | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| 2 | 2 | 2 | 1 | მივლინება ქვეყნის შიგნით | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| 2 | 2 | 2 | 2 | მივლინება ქვეყნის გარეთ | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| 2 | 2 | 3 | | ოფისის ხარჯები | 7.090 | 7.090 | 0.000 | 5.339 | |
| 2 | 2 | 3 | 1 | საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტინების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენა | 0.500 | 0.500 | 0.000 | 0.500 | 0.000 |
| 2 | 2 | 3 | 2 | კომპიუტერული პროგრამების შეძენის და განახლების ხარჯი | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| 2 | 2 | 3 | 3 | ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთის შეძენა და ყველა სახის საგამომცემლო-სასტამბო (არაძირითადი საქმიანობის) ხარჯები | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 2 | 3 | 4 | მცირეფასიანი საოფისე ტექტნიკის შეძენა და დამონტაჟების ხარჯი | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| 2 | 2 | 3 | 5 | საოფისე ინვენტარის შეძენა და დამონტაჟების ხარჯი | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| 2 | 2 | 3 | 6 | ოფისისათვის სანიტარული საგნებისა და საჭირო მასალების შეძენის ხარჯი | 0.500 | 0.500 | 0.000 | 0.465 | 0.000 |
| 2 | 2 | 3 | 7 | რეცხვის, ქიმწმენდის და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯი | 0.500 | 0.500 | 0.000 | 0.490 | 0.000 |
| 2 | 2 | 3 | 8 | შენობა-ნაგებობის და მათი მიმდებარე ტერიტორიის მიმდინარე რემონტის ხარჯი | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| 2 | 2 | 3 | 9 | საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯი | 0.440 | 0.440 | 0.000 | 0.394 | 0.000 |
| 2 | 2 | 3 | 10 | კავშირგაბმულობის ხარჯი | 2.000 | 2.000 | 0.000 | 2.000 | |
| 2 | 2 | 3 | 11 | საფოსტო მომსახურების ხარჯი | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| 2 | 2 | 3 | 12 | კომუნალური ხარჯი | 2.750 | 2.750 | 0.000 | 1.490 | 0.000 |
| 2 | 2 | 3 | 14 | ოფისის ხარჯი რომელიც არ არის კლასიფიცირებული | 0.400 | 0.400 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| 2 | 2 | 4 | | წარმომადგენლობითი ხარჯები | 5.000 | 5.000 | 0.000 | 4.739 | 0.000 |
| 2 | 2 | 5 | | კვების ხარჯები | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| 2 | 2 | 6 | | სამედიცინო ხარჯები | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| 2 | 2 | 7 | | რბილი ინვენტარის, უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| 2 | 2 | 8 | | ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები | 15.200 | 15.200 | 0.000 | 12.760 | 0.000 |
| 2 | 2 | 8 | 1 | საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი | 7.900 | 7.900 | 0.000 | 5.567 | 0.000 |
| 2 | 2 | 8 | 2 | მიმდინარე რემონტის ხარჯი | 3.075 | 3.075 | 0.000 | 3.065 | |
| 2 | 2 | 8 | 3 | ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯი | 3.700 | 3.700 | 0.000 | 3.673 | 0.000 |
| 2 | 2 | 8 | 4 | ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-გადაყვანის) ხარჯი | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| 2 | 2 | 8 | 5 | მცირეფასიანი ინსტრუმენტებისა და ხელსაწყოების შეძენა შენახვის ხარჯი | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| 2 | 2 | 8 | 6 | ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის არაკლასიფიცირებული ხარჯები | 0.525 | 0.525 | 0.000 | 0.455 | 0.000 |
| 2 | 2 | 10 | | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | 7.150 | 7.150 | 0.000 | 6.444 | 0.000 |
| 2 | 2 | 10 | 1 | ბანკის მომსახურების ხარჯი | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 2 | 10 | 3 | ექსპერტიზის და შემოწმების ხარჯი | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| 2 | 2 | 10 | 4 | კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი | 0.150 | 0.150 | 0.000 | 0.148 | 0.000 |
| 2 | 2 | 10 | 5 | რეკლამის ხარჯი | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| 2 | 2 | 10 | 6 | სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯი | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| 2 | 2 | 10 | 7 | საკონსულტაციო, სანოტარო, თარჯიმნის და თარგმნის მომსახურების ხარჯი | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| 2 | 2 | 10 | 8 | აუდიტორული მომსახურების ხარჯი | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| 2 | 2 | 10 | 9 | საარქივო მომსახურების ხარჯი | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| 2 | 2 | 10 | 10 | შენობა-ნაგებობის დაცვის ხარჯი | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| 2 | 2 | 10 | 11 | ბინის ქირა | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| 2 | 2 | 10 | 12 | კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო, საგამოფენო ღონისძიებების და მაუწყებლობის ხარჯები | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| 2 | 2 | 10 | 14 | სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი | 7.000 | 7.000 | 0.000 | 6.296 | 0.000 |
| 2 | 3 | | | ძირითადი კაპიტალის მომსახურება | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| 2 | 4 | | | პროცენტი | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| 2 | 4 | 1 | | საგარეო ვალდებულებებზე | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| 2 | 4 | 1 | 1 | ორმხრივ კრედიტორებზე | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| 2 | 4 | 1 | 2 | მრავალმხრივ კრედიტორებზე | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| 2 | 4 | 1 | 3 | კომერციულ ორგანიზაციებზე | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| 2 | 4 | 1 | 4 | სხვა საგარეო ვალდებულებებზე | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| 2 | 4 | 2 | | საშინაო ერთეულებზე გარდა სახელმწიფო ერთეულებისა | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| 2 | 4 | 3 | | სახელმწიფო ერთეულებიდან აღებულ საშინაო ვალდებულებებზე | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| 2 | 5 | | | სუბსიდიები | | | | | |
| 2 | 6 | | | გრანტები | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| 2 | 6 | 1 | | გრანტები უცხო სახელმწიფოთა მთავრობებს | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| 2 | 6 | 1 | 1 | მიმდინარე | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| 2 | 6 | 1 | 2 | კაპიტალური | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| 2 | 6 | 2 | | გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებს | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| 2 | 6 | 2 | 1 | მიმდინარე | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| 2 | 6 | 2 | 2 | კაპიტალური | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| 2 | 6 | 3 | | გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 6 | 3 | 1 | მიმდინარე | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| 2 | 6 | 3 | 2 | კაპიტალური | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| 2 | 7 | | | სოციალური უზრუნველყოფა | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| 2 | 7 | 1 | | სოციალური დაზღვევა | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| 2 | 7 | 1 | 1 | ფულადი ფორმით | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| 2 | 7 | 1 | 2 | სასაქონლო ფორმით | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| 2 | 7 | 2 | | სოციალური დახმარება | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| 2 | 7 | 2 | 1 | ფულადი ფორმით | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| 2 | 7 | 2 | 2 | სასაქონლო ფორმით | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| 2 | 7 | 3 | | დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| 2 | 7 | 3 | 1 | ფულადი ფორმით | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| 2 | 2 | 3 | 2 | სასაქონლო ფორმით | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| 2 | 8 | | | სხვა ხარჯები | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| 2 | 8 | 1 | 1 | ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა პროცენტისა | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| 2 | 8 | 2 | | სხვადასხვა ხარჯები | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| 2 | 8 | 2 | 1 | სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| 2 | 8 | 2 | 2 | სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |
| 3 | 1 | | | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 | 0.000 |

დანართი 3

## 2022 წლის ბიუჯეტის შესრულება

2022 წელში ადგილობრივი ბიუჯეტიდან მიღებულია სუბსიდია 109416 ლარის ოდენობით .

მათ შორის:

შრომის ანაზღაურების ხარჯის მუხლიდან გახარჯულია 69587 ლარი.

1.ხელფასი- 69587 ლარი.

საქონელი და მომსახურების ხარჯის მუხლიდან გახარჯულია 39829 ლარი.

მათ შორის:

1.შტატგარეშე თანამშრომლის ხელფასი– 10547 ლარი.

2. ოფისის ხარჯი 5339 ლარი(მ.შ კავშირგაბმულობის ხარჯი 2000 ლარი, კომუნალური ხარჯი 1490ლარი (ელექტრო ენერგიის ხარჯი 1466 ლარი, წყლის ხარჯი 24 ლარი ) ოფისისათვის სანიტარული საგნებისა და საჭირო მასალების შეძენის ხარჯი 465 ლარი. საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტინების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენის ხარჯი 500 ლარი. რეცხვის, ქიმწმენდის და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯი 490 ლარი, საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯი 394 ლარი.

3.წარმომადგენლობითი ხარჯი- 4739 ლარი.( ჯომარდობით მომსახურება 400 ლარი, საცხენოსნო ტური-2600 ლარი, სასტუმროს და კვებით მომსახურება-1739 ლარი)

4. ტრანსპორტის, ტექნიკის და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა –შენახვის ხარჯი 12760 ლარი (მ.შ. საწვავის ხარჯი 5567 ლარი, მიმდინარე რემონტის ხარჯი 3065 ლარი. ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯი 3673 ლარი, (მ.შ 3540 საბურავები,133 ავტოტექმომსახურება ) ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის არაკლასიფიცირებული ხარჯები 455 ლარი

5. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება 6444ლარი (კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი 148 ლარი, ტურისტული ბილიკებისათვის ნიშნულების დამზადება 3500 ლარი, ნიშნულების მონტაჟის სამუშაოები 2796 ლარი)

დანართი 4

**2022 წელში შესრულებული სამუშაოებისათვის დადებული იქნა ხელშეკრულებები, როგორც კონსოლიდირებული ასევე გამარტივებული შესყიდვებით:**

**შ.პ.ს მაგთი** კონსოლიდირებული შესყიდვა. 2021 წლის N 19 ხელშეკრულება 2022 წლის მომსახურების 1160 ლარი

- ხელშეკრულება **N1** შ.პ.ს ,,სქაიტელი CPV72400000 ინტერნეტ მომსახურება 840 ლარი გამარტივებული შესყიდვა.
- ხელშეკრულება **N2 ს.ს იპ ფინანსთა სამინისტრო ღირებულება 148 ლარი სატრენინგო მომსახურება,**
- ხელშეკრულება **N3** ი/მ გიორგი ქევანაშვილი CPV 34300000 CPV 50100000 ავტომობილის საჭირო ნაწილების შეცვლა მომსახურება .2075 ლარი.
- კონსოლიდირებული შესყიდვა.
- ხელშეკრულება **N4** კონსოლიდირებული ,,,რომპეტროლი (ბენზინი)6000 ლარი.
- ხელშეკრულება **N5** ს.ს გრინვეი ტექ დათვალიერება CPV 71600000 ***60*** ლარი. გამარტივებული შესყიდვა.
- ხელშეკრულება **N6** ი.მ ეთერ ჯაფარიძე საკანცელარიო ნივთების შესყიდვა CPV 30100000 CPV 22800000 152,50 ლარი. გამარტივებული შესყიდვა.
- ხელშეკრულება **N7** ი/მ ვერიკო ჭოხონელიძე ჰიგიენური საშუალებები CPV 33700000 CPV 39800000 CPV 39200000 ***112,70*** ლარი. გამარტივებული შესყიდვა.
- ხელშეკრულება **N8** ს.ს გრინვეი ტექ დათვალიერება CPV 71600000 ***60*** ლარი. გამარტივებული შესყიდვა.
- ხელშეკრულება **N9**კონსოლიდირებული შპს თეგეტა რითელი CPV 31400000 აკუმულიატორი***190*** ლარი.
- ხელშეკრულება **N10** კონსოლიდირებულიშპს თეგეტა რითელი CPV 34300000 საბურავები***2700***ლარი.
- ხელშეკრულება **N11**გამარტივებულშპს თეგეტა რითელი CPV 50100000 რაზვალის გასწორება 30 ლარი
- ხელშეკრულება **N12**გამარტივებული ი.მ ვერიკო ჭოხონელიძე ჰიგიენური საშუალებები CPV 33700000 CPV 39800000 90,40ლარი.
- ხელშეკრულება **N13**გამარტივებული ი.მ ლაშა ლაიშვილი CPV 45200000 მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები 2796 ლარი.
- ხელშეკრულება **N14**გარტივებული ინდ მეწ არჩილ ჭიჭინაძე CPV 44400000 სახელიანი აბრები 2900ლარი.
- ხელშეკრულება **N15**გამარტივებული ინდ მეწეთერ ჯაფარიძესაკანცელარიო ნივთები CPV 22800000 CPV 30100000 CPV 30200000 178 ლარი.
- ხელშეკრულება **N16** გამარტივებული ინდ მეწ მამუკა ვაშაკიძე მანქანის რეცხვ CPV 50112300 (მიღება ჩაბარება ეტაბობრივათ ფორმდება )

დანართი 4

- ხელშეკრულება **N17**გამარტივებული ინდ მეწ არჩილ ჭიჭინაძე CPV 44400000 სახელიანი აბრები 600ლარი.

- ხელშეკრულება **N17/1**გამარტივებული ინდ მეწარმე გიორგი ქევანაშვილი CPV 50100000 CPV 34300000 მანქანის ნაწილები შეკეთება 360ლარი
- ხელშეკრულება **N18**გამარტივებული ინდ მეწარმე ხათუნა შანგუა CPV 44400000 მომსახურება 400ლარი.
- ხელშეკრულება **N19**გარტივებული ინდ მეწარმე ლაშა ჯოხაძე CPV 92600000 საცხენოსნო ტური 2600 ლარი
- ხელშეკრულება **N20**გარტივებულიინდ მეწარმე არჩილ კერესელიძე CPV 55100000 CPV 55300000 სარესტორნოდა სასტუმროს მომსახურება 1739 ლარი
- ხელშეკრულება **N21**გარტივებულიინდ მეწარმე ვერიკო ჭოხენელიძე CPV 33700000 CPV 39200000 CPV 39800000 CPV 39500000 ჰიგიენური საშუალებები 286,80ლარი,
- ხელშეკრულება **N22**გარტივებულიინდ მეწარმე ეთერ ჯაფარიძე CPV 30100000 საბეჭდი ქაღალდი CPV 30100000 საკანცელარიო CPV 302 00000 კომპიუტერის აქსესუარები 194 ლარი
- ხელშეკრულება **N23**გარტივებულიინდ მეწარმე ავთანდილ გოქსაძე CPV 24500000 CPV 19500000 CPV 31500000 CPV 31200000 CPV 42100000 CPV 44100000 CPV 44500000 CPV 44400000 სამეურნეო საქონელისა და ელექტრო საქონელის შეძენა 465 ლარი
- ხელშეკრულება **N24**შ.პ.ს თეგეტა რითელი კონსოლიდირებული ტენდერი CPV 34300000 საბურავების შეძენა 840 ლარი
- ხელშეკრულება **N25**შ.პ.ს რითელი კონსოლიდირებული ტენდერი CPV 09200000 CPV 42900000 სატრანსპორტო საშუალებების ძრავის ზეთებისა და ზეთის ფილტრების 65,30 ლარი
- ხელშეკრულება **N26**გარტივებულიინდ მეწარმე შ,პ,ს რითელი CPV 24900000 CPV 50100000 ტექნიკური მომსახურება 133 ლარი
- ხელშეკრულება **N27**გარტივებულიინდ მეწარმე თემურ ფრუიძე CPV 30200000 CPV 50300000 კომპიუტერების შეკეთება (მომსახურება) 370 ლარი.
- ხელშეკრულება **N28** გარტივებულიი/მ გიორგი ქევანაშვილი CPV 34300000 CPV 50100000 ავტომობილის საჭირო ნაწილების შეცვლა მომსახურება .410ლარი.

დანართი 5

| ა(ა)იპ „ ტურისტული ცენტრი" | 2020 წელი: საშტატო რიცხოვნობა | 2020 წელი: თანამდებობრივი სარგო | 2020 წელი: ხელფასის ფონდი — ერთი თვის | 2020 წელი: ხელფასის ფონდი — წლიური | 2021 წელი: საშტატო რიცხოვნობა | 2021 წელი: თანამდებობრივი სარგო | 2021 წელი: ხელფასის ფონდი — ერთი თვის | 2021 წელი: ხელფასის ფონდი — წლიური | 2022 წელი: საშტატო რიცხოვნობა | 2022 წელი: თანამდებობრივი სარგო | 2022 წელი: ხელფასის ფონდი — ერთი თვის | 2022 წელი: ხელფასის ფონდი — წლიური |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დირექტორი | 1 | 900 | 900 | 10800 | 1 | 900 | 900 | 10800 | 1 | 1000 | 1000 | 12000 |
| დირექტორის მოადგილე | 1 | 650 | 650 | 7800 | 1 | 650 | 650 | 7800 | 1 | 715 | 715 | 8580 |
| ბუღალტერი | 1 | 550 | 550 | 6600 | 1 | 550 | 550 | 6600 | 1 | 605 | 605 | 7260 |
| საქმის წარმოების სპეციალისტი | 1 | 400 | 400 | 4800 | 1 | 400 | 400 | 4800 | 1 | 440 | 440 | 5280 |
| რეკლამისა და მარკეტინგის სპეციალისტი | 1 | 450 | 450 | 5400 | 1 | 450 | 450 | 5400 | 1 | 495 | 495 | 5940 |
| მძღოლი | 1 | 350 | 350 | 4200 | 1 | 350 | 350 | 4200 | 1 | 385 | 385 | 4620 |
| შესყიდვების სპეციალისტი | 1 | 500 | 500 | 6000 | 1 | 500 | 500 | 6000 | 1 | 550 | 550 | 6600 |
| დამლაგებელი | 1 | 250 | 250 | 3000 | 1 | 250 | 250 | 3000 | 1 | 275 | 275 | 3300 |
| მთავარი სპეციალისტი | 1 | 600 | 600 | 7200 | 1 | 600 | 600 | 7200 | 1 | 660 | 660 | 7920 |
| სპეციალისტი | 1 | 450 | 450 | 5400 | 1 | 450 | 450 | 5400 | 1 | 495 | 495 | 5940 |
| სპეციალისტი | 1 | 350 | 350 | 4200 | 1 | 350 | 350 | 4200 | 1 | 385 | 385 | 4620 |
| | | | | | | | | | | | | |
| სულ ჯამი | | 5450 | 5450 | 65400 | 11 | 5450 | 5450 | 65400 | 11 | 6005 | 6005 | 72060 |
| | | | | | | | | | | | | |
| შტატგარეშე თანამშრომელი | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 600 | 600 | 6000 | 1 | 550 | 550 | 6600 |
| შტატგარეშე თანამშრომელი | | | | | | | | | 1 | 500 | 500 | 4000 |
| | | | | | | | | | | | | |
| სულ ჯამი | | | | | | 600 | 600 | 6000 | 2 | 1050 | 1050 | 10600 |